შეთანხმულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ოქმი №2, ,,1“ ,,თებერვალი“, 2018 წელი

სამსახურის უფროსი /დოქტ. ნინო ჯოჯუა/

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

ოქმი №6, ,,2“ ,,თებერვალი“, 2018 წელი

ფაკულტეტის დეკანი /პროფ. დოქტ. თამარ შიოშვილი/

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი №2, ,,5“ ,,თებერვალი“, 2018 წელი

რექტორი / პროფ. დოქტ. ილიას ჩილოღლუ/

# სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

# ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებში

თბილისი

2018 წელი

**მიმართულება:** 11 მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები

**დარგი / სპეციალობა:** 1104 რეგიონმცოდნეობა

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)

**ფაკულტეტი:** განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:** აფილირებული პროფესორი თამარ შიოშვილი, ფილოლოგიის დოქტორი

ტელეფონი 259-50-05/145; ფაქსი: 259-50-08; მობილური: (+ 995) 593 50 41 06

**ელექტრონული ფოსტა:** tshioshvili@ibsu.edu.ge

**განათლების საფეხური:** მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი (Master of American Studies)

**კვალიფიკაციის კოდი:** 110402

**სწავლების ენა:** ინგლისური

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 ECTS კრედიტი

**პროგრამის სტრუქტურა:** სამაგისტრო პროგრამის მთლიანი მოცულობა -120 კრედიტია(3000 სთ.). სავალდებულო სასწავლო კურსები შეადგენს 60 კრედიტს. 6 საგანი 10 ECTS კრედიტის ოდენობით. არჩევითი სასწავლო კურსი შეადგენს 30 კრედიტს, 3 საგანი 10 კრედიტის ოდენობით. სამაგისტრო პროგრამაზე ყველა საგანი 10 კრედიტიანია. ეს იმით არის გამოწვეული, რომ დამოუკიდებელი მუშაობის წვლილი მაგისტრატურაში ბაკალავრიატთან შედარებით მკვეთრადაა გაზრდილი. მაგისტრანტებს ასევე მეტი ლიტერატურის მოძიება და ღრმა შესწავლა უწევთ. სპეციალობის არჩევითი კომპონენტის 30 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 10 კრედიტი აითვისოს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.

სამაგისტრო პროგრამის მე-4 სემესტრში სტუდენტი იცავს სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც ეთმობა 30 კრედიტი. სურვილის შემთხვევაში სტუდენტს შეეძლება დამატებით (120 სავალდებულო კრედიტის გარდა) აიღოს დამატებითი საგნები, რაც ერთობ გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და წარმატებული კარიერის ფორმირების საფუძველი გახდება.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი, რომელიც გადის წინასწარ რეგისტრაციას ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრში და აბარებს გამოცდებს საკონკურსო საგამოცდო პროგრამის მოცულობით. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები უნდა ჩააბაროს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და უცხოეთში გავლილი ინგლისურენოვანი პროგრამების კურსდამთავრებულები აბარებენ გამოცდას მხოლოდ სპეციალობაში, ხოლო დანარჩენები – სპეციალობის გარდა აბარებენ გამოცდას ინგლისურ ენაში, რომელიც შეესაბამება B 2 დონეს.

**სამაგისტრო პროგრამის მიზანი:** აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა გაგრძელებაა მულტიდისციპლინარული და ამავდროულად ინტერდისციპლინარული, საქართველოში ერთადერთი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის, რომელიც პირველად გაიხსნა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით. ამერიკისმცოდნეობის პროგრამის სპეციფიკურობამ და უნიკალურობამ, რაც გულისხმობს ისეთი მრავალფეროვანი საგნების შესწავლას, როგორებიცაა: ამერიკის ისტორია, ამერიკის ლიტერატურა, ამერიკის მულტიკულტურული სწავლება, ამერიკის კულტურა და საზოგადოება, ამერიკის გეოგრაფია, ამერიკელ ქალთა ისტორია, ამერიკული მედია, ამერიკის პოლიტიკა და სხვა. აგრეთვე სტუდენტების მიერ გამოხატულმა დიდმა ინტერესმა ამერიკის ისტორიის და მისი საგარეო პოლიტიკისადმი, გადაგვაწყვეტინა შეგვექმნა ერთგვარი მოდული საბაკალავრო პროგრამის – სამაგისტრო პროგრამა „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებში“.

პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს შესაძლებლობა შეისწავლონ ამერიკის საგარეო ურთიერთობების წინაშე მდგარი გამოწვევები რაც მოიცავს ორ ეტაპს: პირველი ეტაპი წარმოადგენს 2001 წლის 10 სექტემბრის დღის წესრიგს, როდესაც მსოფლიო უკვე გადიოდა ისტორიულ გარდამავალ ეტაპს, იმყოფებოდა რა ცივი ომის დამთავრების და დიდი მოლოდინების ფაზაში. მიუხედავად იმისა რომ ომის ხანა არ იყო დამთავრებული, ეს ეტაპი მოიცავდა გლობალიზაციის გაძლიერებას და გავრცელებას მსოფლიოში თავისი პროგრესით და პრობლემებით; დემოკრატიის მასშტაბების გაფართოვებას და მის წინაშე დამდგარი მულტიკულტურული კონსოლიდაციის და ინსტიტუციონალიზმის გამოწვევებით. ხოლო მეორე ეტაპი, დაწყებული 2001 წლის 11 სექტემბრიდან, გულისხმობს ამერიკის საგარეო პოლიტიკის დღისწესრიგის ტრანსფორმაციას, გამოწვეულს ტერორიზმთან ომის გამოცხადებით. ანუ, ამერიკელების წინაშე დამდგარმა ამოცანამ – გამკლავებოდნენ როგორც 2001 წლის 10 სექტემბრამდე, ასევე 11 სექტემბრის შემდგომ დღისწესრიგს. აქედან გამომდინარე მოცემული პროგრამის კურსები უღრმავებს სტუდენტებს ამერიკის საგარეო პოლიტიკის ისეთ მთავარ საკითხებს, თუ რა არის შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესი და პოლიტიკური სტრატეგიები. ამასთანავე პროგრამის კურსები აცნობს სტუდენტებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ისტორიას, დემოკრატიის განვითარებას, თუ რა როლს თამაშობენ და რა გავლენა აქვთ ინსტიტუტებს და მოქმედ პირებს, პრეზიდენტებს, ამერიკის ისტორიის დინამიკას, რეგიონის თავისებურებებს, მულტიკულტურალიზმს ამერიკის პოლიტიკურ სისტემაში. პროგრამა წარმოუდგენს სტუდენტებს ამერიკის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიების ფორმირების პროცესებს, რაც მიმართულია სწორი გეგმების დასახვის და მათ განსახორციელებლად ოპტიმალური გზების მოძიებისკენ. პროგრამა წარმოუდგენს მკვლევარებს საგარეო ურთიერთობების ისტორიას, პოლიტიკას, როგორც „არჩევანის პროცესს“, რაც ნიშნავს საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებას პოლიტიკური ინსტიტუტების მეშვეობით, რომლებიც ემყარება ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ და მულტიკულტურულ პროცესებს.

**სწავლის შედეგები:** დამყარებულია რა ინტერდისციპლინარული ზოგადი საბაკალვრო პროგრამის კურსების – ამერიკის ისტორია, ამერიკის კულტურა და საზოგადოება, ამერიკის პოლიტიკა – ფუნდამენტურ პრინციპებზე, პროგრამა ეფუძნება გამოცდილ კონცეფტუალურ ჩარჩოს, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს სიღრმისეულად შეისწავლონ ამერიკის საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა წყაროები. პროგრამის კურსები ფუნდამენტალურად განიხილავენ თანამედროვე საკითხებს, დებატებს, გამოწვევებს, ისტორიულ კონტექსტს, რათა სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა შეაფასონ წარსული და დღევანდელი, 9/11–ის შემდგომი პერიოდის მასშტაბური ცვლილებები, ერის იმ პრინციპებთან, ფასეულობებთან და ინტერესებთან მიმართებაში, როგორებიცაა მშვიდობა და კეთილდღეობა, სტაბილურობა და უსაფრთხოება, დემოკრატია და თავდაცვა, ეთნიკური მრავალფეროვნება. ჩვენი კონცეპტუალური ჩარჩო საშუალებას მისცემს სტუდენტებს ეფექტურად გამოიყენონ რელევანტური თეორიები და შესაბამის ისტორიულ კონტექსტში ჩასმული თანამედროვე დებატები, რაც გაუადვილებს მათ დაინახონ და გაანალიზონ ის ძალები, რომლებიც უდევს საფუძვლად ამერიკის საგარეო პოლიტიკის უწყვეტობას, თანამიმდევრობას და ცვლილებებს. სწორედ კონცეპტუალურ, თეორიულ, მულტიკულტურულ და ისტორიულ კომპონენტებზე დაყრდნობილი კურსები ეხმარება მკვლევარებს აწარმოონ სერიოზული თეორიული კვლევა ამერიკის საგარეო პოლიტიკაში.

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ საელჩოებში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, ამერიკულ ორგანიზაციებში, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტებში, კულტურის და უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტებში, პარლამენტში, ისტორიის მუზეუმში, არქივში, უნივერსიტეტებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში.

მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

| | | |
|---|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. | თეორიული და ისტორიული ფაქტების აღქმა და ათვისება<br>● ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის და პოლიტიკის ცოდნა პოლიტიკური ინსტიტუციების და საზოგადოებრივი გავლენების გათვალისწინებით ისტორიული თვალთახედვით;<br>● ამერიკის დემოკრატიის ძირიტადი პრინციპები;<br>● დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით თანასწორობასა და თავისუფლებას შორის დაპირისპირების შესწავლა;<br>● აშშ-ს ისტორია და პოლიტიკა;<br>● აშშ-ს ცალკეული რეგიონების განვითარების თავისებურებების გავლენა ამერიკის მრავალფეროვან კულტურაზე;<br>● ქართულ-ამერიკული ურთიერთობების დინამიკა;<br>● პრეზიდენტობის ინსტიტუტის ისტორიის თავისებურებების გავლენა აშშ-ს საგარეო ურთიერთობებზე;<br>● ნატოს როლი აშშ-ს საგარეო პოლიტიკაზე და უსაფრთხოების საკითხები.<br>● პოლიტიკური ტერმინოლოგიის ცოდნა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებში;<br>ისტორიული ტერმინების ცოდნა. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი | ● საგარეო ურთიერთობების, აშშ-ს ისტორიის, დემოკრატიის პრინციპების, კულტურის, მრავალფეროვანი რეგიონალური თავისებურებების შეჯერება ინტერდისციპლინარულ რაკურსში და მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია.<br>● საკუთარი აზრის არგუმენტირება, თეორიული დებულებების პრაქტიკული მაგალითებით ილუსტრირება<br>● სპეციალური ლიტერატურის კითხვის ზედმიწევნით ღრმა გაანალიზების უნარი; |

| | | |
|---|---|---|
| | მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. | • სამაგისტრო ნაშრომის დაწერა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებში;<br>• უნარი პროფესიული კომუნიკაციისას ადეკვატური (ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებში) ტერმინოლოგია გამოიყენო მასალის პრეზენტაციის და ანალიზის მიზნით.<br>• |
| **დასკვნის უნარი** | რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. | • ანალიტიკური უნარები ინტერდისციპლინარულ რაკურსში<br>• პრობლემების გადაჭრის უნარი<br>• ამერიკის ისტორიის და პოლიტიკის სხვა ქვეყნების ისტორიასთან შედარება;<br>• პოლიტიკური თეორიების შედარებისა და დასკვნის გაკეთების უნარი<br>• კვლევით/სამაგისტრო ნაშრომში დასკვნების გაკეთების უნარი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების სფეროში<br>• სტრატეგიული კომპეტენცია (უნარი ეფექტურად დაგეგმო სწავლა და ვერბალური კომუნიკაციის პროცესი, ასევე თვითკორექცია) |
| **კომუნიკაციის უნარი** | თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით. | • ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის კომპეტენციები, აუდირება, საუბარი, კითხვა და წერა, არგუმენტაციის წარდგენა ამერიკელ ექსპერტებთან, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან;<br>• არავერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები (ადეკვატური ჟესტიკულაცია, სხეულის ენა და თვალით კონტაქტი; უნარი გამოიყენო აუდიო-ვიდეო საშუალებები კომუნიკაციისათვის<br>• პრეზენტაციის უნარ-ჩვევები;<br>• შეხვედრებში, დისკუსიებსა და დებატებში ეფექტური მონაწილეობა. |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| **სწავლის უნარი** | სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე. | • ინფორმაციის მოძიების უნარი ინტერნეტში და ბიბლიოთეკაში<br>• ახალი ცოდნის მოპოვებისაკენ სწრაფვა;<br>• საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა და დაგეგმვა;<br>• საკუთარ საქმიანობაზე რეფლექსია და საჭირო მასალების დამუშავება;<br>• საკუთარი ჩანაწერების და ჩანიშვნების ორგანიზება და მათი ეფექტურად გამოყენება.<br>• |
| **ღირებულებები** | ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. | • ტოლერანტულობა, სურვილი, გაიგო სხვა კულტურა და მგრძნობიარობა სხვა კულტურებისადმი<br>• უნარი, გააგრძელო სწავლა<br>• კვლევისადმი ინტერესი<br>• სხვადასხვა ინსტიტუციების კულტურის და ისტორიული ღირებულებების მნიშვნელობის გათვალისწინება თანამედროვე მსოფლიო განვითარების კონტექსტში;<br>• ეთიკის დაცვის ვალდებულების შეგნება. |

**სწავლის შედეგების რუკა**

| სასწავლო კურსი / მოდული / სასწავლო კურსი/პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი | კომპეტენციების ჩამონათვალი |
|---|---|

| | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკის საშინაო პოლიტიკა | X | X | X | X | X | X |
| ამერიკის საგარეო პოლიტიკა | X | X | X | X | X | X |
| ამერიკის დემოკრატია | X | X | X | X | X | X |
| საგარეო ურთიერთობები და განვითარება | X | X | X | X | X | X |
| საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხები | X | X | X | X | X | X |
| საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები | X | X | X | X | X | X |
| კვლევის მეთოდები | X | X | X | X | X | X |
| ქართულ–ამერიკული ურთიერთობები | X | X | X | X | X | X |
| ამერიკის მას მედია და პოლიტიკა | X | X | X | X | X | X |
| ამერიკის გეოგრაფია და რეგიონალური დახასიათება | X | X | X | X | X | X |
| ამერიკის პრეზიდენტობის ისტორია | X | X | X | X | X | X |
| ამერიკისმცოდნეობა და გლობალიზაცია | X | X | X | X | X | X |
| საგარეო პოლიტიკის ანალიზი | X | X | X | X | X | X |
| ახალი მედია და ამერიკული საზოგადოება | X | X | X | X | X | X |
| საერთაშორისო ორგანიზაციები და ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მომავალი როლი | X | X | X | X | X | X |
| **სამაგისტრო ნაშრომი** | X | X | X | X | X | X |

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

- **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ახალი თეორიული მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, რომლის დროსაც ხდება სხვადასხვა მეთოდების ინტეგრირება თემატიკიდა გამომდინარე;
- **დემონსტრირების მეთოდი,** რომელიც ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს

უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან;

- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი** – სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისკენ, კონკრეტულიდან ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

  სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

  სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

  სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;

- **შემთხვევების შესწავლა** (Case study) –აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების-სიტუაციების გადაჭრის გზით. ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების განხილვაზე და ანალიზზე. 'ქეისი' არის ინსტრუმენტი, რომელის საშუალებითაც ხდება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ანვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების მოკლე დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უნვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედების დაგეგმივასა და მათი შედეგების პროგნოზირების უანრი;

- **წერითი მუშაობის მეთოდი**– გულისხმობს თეზისების შედგენას, ინდივიდუალური ანგარიშის, ესეს ანდ ნებისმიერი წერითი დავალების შესრულებას;

- **პრაქტიკული მეთოდი**– გულისხმობს სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას მიღებული თეორიული მასალის საფუძველზე (მინი გაკვეთილების ჩატარება/პროექტების მომზადება). პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გადიან პედაგოგიურ პრაქტიკას, სადაც ამ მეთოდის გამოყენება ნათლად არის ასახული;

- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)–** გულისხმობს ახალი ცოდნის მიღებისათვის კონკრეტული პრობლემების ანალიზს.

| | |
|---|---|
| **ლექცია** | • პრეზენტაცია<br>• დემონსტრირება<br>• ინდუქცია<br>• დედუქცია<br>• ანალიზი<br>• სინთეზი<br>• შემთხვევების შესწავლა<br>• ელექტრონული რესურსით სწავლება |
| **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** | • დისკუსია/დებატები<br>• პრეზენტაცია<br>• წიგნზე მუშაობა<br>• დემონსტრირება<br>• გონებრივი იერიში<br>• შემთხვევების შესწავლა<br>• სიმულაცია<br>• როლური და სიტუაციური თამაშები<br>• ინდუქცია<br>• დედუქცია<br>• ანალიზი<br>• სინთეზი<br>• ელექტრონული რესურსით სწავლება |
| **პრაქტიკუ ლი/ლაბორატორიული მუშაობა** | • დემონსტრირება<br>• პრობლემების გადაჭრა<br>• ჯგუფური მუშაობა<br>• ინდივიდუალური მუშაობა<br>• წიგნზე მუშაობა<br>• ინდუქცია<br>• ანალიზი<br>• სინთეზი<br>• ელექტრონული რესურსით სწავლება |

| | |
|---|---|
| **სემინარი** | • პრეზენტაცია<br>• დისკუსია/დებატები<br>• გონებრივი იერიში<br>• ინდუქცია<br>• დედუქცია<br>• ანალიზი<br>• სინთეზი<br>• ელექტრონული რესურსით სწავლება |
| **დამოუკიდებელი მუშაობა** | • წიგნზე მუშაობა<br>• პროექტი<br>• ინდუქცია<br>• დედუქცია<br>• ანალიზი<br>• სინთეზი<br>• პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება<br>• შემთხვევების შესწავლა<br>• პრეზენტაციის მომზადება<br>• საშიანო დავალების შესრულება<br>• ელექტრონული რესურსით სწავლება |

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;

2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;

3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;

4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;

5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 – 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შეფასების ფორმატია:

- ტესტი, ქვიზი;
- კვლევითი სტატია;
- პროექტი
- ზეპირი გამოკითხვა;
- სემინარი;
- პრეზენტაცია;
- აქტიურობა;
- საშინაო დავალება;
- შუალედური და დასკვნითი გამოცდა.

შეფასების კომპონენტებს შორის, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთებისა და პრაქტიკული მაგალითების ადეკვატურობა.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა.

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა.

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა.

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა.

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

გულისხმობს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს რომ. სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

თუ მაგისტრანტი მიიღებს 41-50 ქულას (FX) მას უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში. თუ მაგისტრანტი მიიღებს 40 ქულას ან ნაკლებს (F) იგი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. თუ მაგისტრანტი არ გამოცხადდა საჯარო დაცვაზე საპატიო მიზეზის გამო, (საპატიო მიზეზის არსებობის ფაქტი დასტურდება ინსტიტუტის საბჭოს მიერ), მაგისტრანტს იმავე სემესტრში ენიშნება საჯარო დაცვა. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

**საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:**

| № | კრიტერიუმი | მაქსიმალური ქულა კრიტერიუმების მიხედვით | მინიჭებული ქულა |
|---|---|---|---|
| 1 | აქტუალობა | 10 | |
| 2 | კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა | 10 | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 | კვლევის თეორიული მნიშვნელობა | 10 | |
| 4 | სიახლე | 10 | |
| 5 | საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა | 15 | |
| 6 | კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის /მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მსჯელობა) | 5 | |
| 7 | დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა) | 15 | |
| 8 | დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა | 15 | |
| 9 | დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა | 10 | |
| **სულ** | | **100** | |
| **საბოლოო შეფასება** | | | |

**სწავლების ორგანიზების თავისებურებები:** პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტი (3000 სთ.) გადანაწილებულია 2 აკადემიური წლის, 4 სემესტრის განმავლობაში შემდეგნაირად: I სემესტრი - 30, II სემესტრი - 30, III სემესტრი – 30, IV სემესტრი - 30.

კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია ევროპული კრედიტებისა და ტრანსფერის სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 სთ., რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

პროგრამით გათვალისწინებული ერთი სავალდებულო და ორი არჩევითი კურსი ისწავლება გუნდური მეთოდით (Team Teaching), რაც გულისხმობს ორი ლექტორის აქტიურ ჩართულობას კურსის შემუშავებისა და მისი ჩატარების პროცესში.

**დასაქმების სფერო:**

ამერიკისმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ამერიკისმცოდნეობა) წარმოადგენს ძირითად მოთხოვნას დოქტურანტურაში სწავლის გასაგრძელებლად. ამრიგად, სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრს საშუალება ეძლევა სწავლა გააგრძელოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, რის მიღების შემდეგაც ასწავლოს საუნივერსიტეტო დონეზე და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ამას გარდა მაგისტრებს შეუძლიათ იმუშაონ ამერიკულ ორგანიზაციებში, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისებში,საგარეო საქმეთა სამინისტროში, კულტურის დეპარტამენტებში, საზოგადოებრივი მართვის დეპარტამენტებსა, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას:

- პროექტორებით და სხვა სასწავლო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები;
- თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების ფონდით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტის ელექტორნულ ბაზაში (Smart) სასწავლო კურსების გახსნისას ლექტორების მიერ განთავსებული სასწავლო თემატიკის შესაბამისი სლაიდები;
- უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა მატერიალური რესურსი.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:**

| კურსი/საგანი | სახელი,გვარი | კვალიფიკაცია |
|---|---|---|
| ამერიკის საშინაო პოლიტიკა | ირინა ბახტაძე<br>თამარ შიოშვილი | დოქტ. აფილირებული პროფ. ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით დოქტ.<br>აფილირებული პროფ. ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |

| | | |
|---|---|---|
| ამერიკის საგარეო პოლიტიკა | კარლ აუგუსტსონი | მოწვეული ლექტორი, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი |
| ამერიკის დემოკრატია | კარლ აუგუსტსონი | მოწვეული ლექტორი პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი |
| საგარეო ურთიერთობები და განვითარება | ნიკა ჩიტაძე | აფილირებული პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი |
| უსაფრთხოების საკითხები ამერიკაში | კარლ აუგუსტსონი | მოწვეული ლექტორი, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი |
| საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები | დავით აფციაური | მოწვეული ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი |
| კვლევის მეთოდები | ირინა ბახტაძე | აფილირებული პროფ. დოქტ. ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ქართულ–ამერიკული ურთიერთობები | თეა ჭუმბურიძე | ამერიკისმცოდნეობის დოქტორი, მოწვეული ლექტორი |
| ამერიკის მას მედია და პოლიტიკა | ნუგზარ სიხარულიძე<br>თამარ შიოშვილი | ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი<br>დოქტ. აფილირებული პროფ. ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკის გეოგრაფია და რეგიონალური დახასიათება | ნუგზარ სიხარულიძე<br>თამარ შიოშვილი | ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი<br>დოქტ. აფილირებული პროფ. ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკის პრეზიდენტობის ისტორია | ლაშა ქურდაშვილი | ამერიკისმცოდნეობის დოქტორი, მოწვეული ლექტორი |
| ამერიკისმცოდნეობა და გლობალიზაცია | ამირან კავაძე | დოქტ. აფილირებული პროფესორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით |
| საგარეო პოლიტიკის ანალიზი | გიორგი მჭედლიშვილი | ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი |
| ახალი მედია და ამერიკული საზოგადოება | მარინე ვეკუა | დოქტ. პროფესორი ჟურნალისტის მიმართულებით |
| საერთაშორისო ორგანიზაციები და ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მომავალი როლი | ირინა ბახტაძე | დოქტ. აფილირებული პროფ. ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| **სამაგისტრო ნაშრომი** | ფაკულტეტის ყველა ასოცირებული და სრული პროფესორი | |

## სასწავლო გეგმა

| # | სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი | სტატუსი | კრედიტების რაოდენობა კრედიტების რაო | კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით | | | | | | | | საათების განაწილება | | | | | | | საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I ს.წ. | | II ს.წ. | | III ს.წ. | | IV ს.წ. | | საკონტაქტო | | | | | დამოუკიდებელი მუშაობა | ჯამური საათები | |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | V | VI სემესტრი | VII სემესტრი | VIII სემესტრი | ლექცია/კონსუ | Pსემინარი/ჯგუფური მუშა | შუალედური გამ | დასკვნითი გამ | სულ საკონტაქ | | | |

| | | | დენობა | | | | | | | | | ლტაცია | ობა/პრაქტიკული სამუშაო | ოცდ(ა/ები) | ოცდა | ტო | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი (60 ECTS კრედიტი) | | 60 | 20 | 20 | 20 | | | | | | 173 | 81 | 16 | 18 | 288 | 1212 | 1500 | |
| | ამერიკის საშინაო პოლიტიკა | სავალდებულო | | 10 | | | | | | | | 29 | 13 | 3 | 3 | 48 | 202 | 250 | 3 |
| | კვლევის მეთოდები | სავალდებულო | | 10 | | | | | | | | 29 | 14 | 3 | 3 | 49 | 201 | 250 | 3 |
| | ამერიკის საგარეო პოლიტიკა | სავალდებულო | | | 10 | | | | | | | 29 | 14 | 2 | 3 | 48 | 202 | 250 | 3 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საერთაშორისო ურთიერთობები და განვითარება | სავალდებულო | | | 10 | | | | | | | 29 | 13 | 3 | 3 | 48 | 202 | 250 | 3 |
| | ქართულ-ამერიკული ურთიერთობები | სავალდებულო | | | | 10 | | | | | | 29 | 13 | 3 | 3 | 48 | 202 | 250 | 3 |
| | ამერიკის პრეზიდენტობის ისტორია | სავალდებულო | | | | 10 | | | | | | 28 | 14 | 2 | 3 | 47 | 203 | 250 | 3 |
| | **სპეციალობის არჩევითი სასწავლო კომპონენტი** | | **30** | **10** | **10** | **10** | | | | | | **87** | **42** | **7** | **9** | **145** | **605** | **750** | |
| | საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები | არჩევითი | | | | 10 | | | | | | 29 | 14 | 2 | 3 | 48 | 202 | 250 | 3 |
| | ახალი მედია და ამერიკული საზოგადოება | არჩევითი | | **10** | | | | | | | | 29 | 14 | 2 | 3 | 48 | 202 | 250 | 3 |
| | ამერიკის გეოგრაფია და რეგიონალური | არჩევითი | | | | 10 | | | | | | 29 | 14 | 2 | 3 | 48 | 202 | 250 | 3 |
| | ამერიკის მას-მედია და პოლიტიკა | არჩევითი | | | 10 | | | | | | | 29 | 14 | 3 | 3 | 49 | 201 | 250 | 3 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ამერიკის დემოკრატია | არჩევითი | | 10 | | | | | | | | 29 | 13 | 3 | 3 | 48 | 202 | 250 | 3 |
| | საგარეო პოლიტიკის ანალიზი | არჩევითი | | 10 | | | | | | | | 29 | 13 | 3 | 3 | 48 | 202 | 250 | 3 |
| | საერთაშორისო ორგანიზაციები და ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მომავალი როლი | არჩევითი | | 10 | | | | | | | | 29 | 13 | 3 | 3 | 48 | 202 | 250 | 3 |
| | ამერიკისმცოდნეობა და გლობალიზაცია | არჩევითი | | 10 | | | | | | | | 29 | 13 | 3 | 3 | 48 | 202 | 250 | 3 |
| | უსაფრთხოების საკითხები ამერიკაში | არჩევითი | | 10 | | | | | | | | 29 | 14 | 2 | 3 | 48 | 202 | 250 | 3 |
| | **სავალდებულო კვლევითი კომპონენტი** | | | | | 30 | | | | | | **30** | | | | **30** | **720** | **750** | 2 |
| | სამაგისტრო ნაშრომი | სავალდებულო | | | | 30 | | | | | | **30** | | | | **30** | **720** | **750** | 2 |
| სულ | | | 120 | | | | | | | | | 290 | 123 | 23 | 27 | 463 | 2537 | 3000 | 44 |

**შენიშვნა:**

1. კვირეული საკონტაქტო საათების მითითებისას გასათვალისწინებელია, რომ ყველა კვირაში საათები არ არის ერთნაირად გადანაწილებული: პირველ კვირაში ყველა სასწავლო კურსი მოიცავს მხოლოდ ლექციას.
2. სპეციალობის არჩევითი კომპონენტის 30 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 10 კრედიტი აითვისოს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.
3. რადგან ყველა არჩევით საგანს არა აქვს საათების ერთნაირი განაწილება (ლექცია-სემინარი-პრაქტიკული-შუალედური გამოცდა) ჯამური საათების გაანგარიშებისას, პირობითად ვიღებთ პირველი სამი ათ კრედიტიანი სასწავლო კურსის მონაცემებს.

## სასწავლო გეგმა

| № | სასწავლო კურსი პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტი | კოდი | სემესტრი | წინაპირობა | ლექტორი | ძირითადი ლიტერატურა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ამერიკის საშინაო პოლიტიკა | USFA502 | I | - | აფილ. პროფ. დოქტ. ირინა ბახტაძე/ აფილ. პროფ. დოქტ. თამარ შიოშვილი | Walter Lafeber. American Age. US foreign Policy at Home and Abroad 1750 to the Present W.W. Norton and Company, Inc. New York<br><br>Seyom Brown. Faces of Power. United States Foreign Policy from TRUMAN to CLINTON. Columbia University Press. New York 1994<br>Stephen E. Ambrose and Douglas G. Brinkley. Rise to Globalism. American Foreign Policy since1938. New Baskerville, USA. 1997 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | ამერიკის დემოკრატია | USFA502 | I | - | მოწვეული ლექტორი დოქტ. კარლ აუგუსტსონი | Alexander Hamilton et al., The Federalist Papers, edited and with an introduction and notes by Lawrence Goldman, Oxford University Press, 2008.<br><br>Alexis de Tocqueville, Democracy in America, translated, edited and with an introduction by Harvey C. Mansfield and Delba Winthrop, The University of Chicago Press, 2000.<br><br>Robert D. Putnam, Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community, Simon and Schuster, 2000.<br><br>Theda Skocpol, "The Narrowing of Civic Life," The American Prospect (May 2004). |
| 3 | საგარეო პოლიტიკის ანალიზი | **AMS510** | I | -- | ასოც. პროფ. დოქტ. გიორგი მჭედლიშვილი | The following two books will be studied most extensively, and large sections of them (although not entire books) will be assigned as reading material.<br><br>Steve Smith, Amelia Hadfield, Tim Dunne (eds.), Foreign Policy: Theories, Actors, Cases, Oxford University Press, 2008.<br>4Philip D. Zelikow with Graham T. Allison, Essence of Decision: Explaining the Cuban Missile Crisis 2nd edition Longman, 1999. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | In addition to the mentioned books, selected chapters from the following two monographs will be included into the reader:<br><br>Richard C. Snyder, H. W. Bruck, Burton Sapin (eds.), Foreign Policy Decision Making (Revisited), Palgrave Macmillan, 2002.<br>Fareed Zakaria, From Wealth to Power, Princeton University Press, 1999, pp.128-180 |
| 4 | ამერიკისმცოდნეობა და გლობალიზაცია | **USFA504** | I | – | აფილ. პროფ. დოქტ. ამირან კავაძე | Mark Kesselman. “The Politics of Globalization”. U.S.A., New York, 2007. ISBN: 0-618-39599-7 |
| 5 | საერთაშორისო ორგანიზაციები და ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მომავალი როლი | **USFA505** | I | – | აფილ. პროფ. დოქტ. ირინა ბახტაძე | Daniel Christie, et al, Conflict and Violence, London, Prentice Hall |
| 6 | ამერიკის საგარეო პოლიტიკა | **USFA103** | II | – | მოწვეული ლექტორი, დოქტორი კარლ აუგუსტსონი აშშ | 1. Walter Lafeber. American Age. US foreign Policy at Home and Abroad 1750 to the Present W.W. Norton and Company, Inc. New York<br><br>2. Seyom Brown. Faces of Power. United States Foreign Policy from TRUMAN to CLINTON. Columbia University Press. New York 1994 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 3. Stephen E. Ambrose and Douglas G. Brinkley. Rise to Globalism. American Foreign Policy since1938. New Baskerville, USA. 1997 |
| **7** | ამერიკის პრეზიდენტობის ისტორია | **USFA506** | II | - | მოწვეული ლექტორი, დოქტორი ლაშა ქურდაშვილი | - Henry F. Graff, ed., The Presidents: A Reference History, 3/e, Thomson Gale, 2010 (required text).<br>- PBS, The American Experience: Presidents series, available at http://www.pbs.org/wgbh/americanexperience/ (required video materials).<br>- Robert Dallek, Lyndon B. Johnson: Portrait of a President, Oxford University Press, 2004 (supplementary text).<br>- Bartelby: Inaugural Addresses of American Presidents: http://www.bartelby.com/124/ (supplementary video materials).<br>- C-SPAN: The American President: http://www.americanpresidents.org (supplementary video materials). |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | - The Living-Room Candidate (presidential campaign commercials): http://www.livingroomcandidate.org (supplementary video materials).<br>- The American Presidency Project. The University of California, Santa Barbara. http://www.presidency.ucsb.edu/ (supplementary Internet resources on the American Presidency). |
| 8 | საერთაშორისო ურთიერთობები და განვითარება | **USFA512** | II | - | აფილ. პროფ. დოქტ. ნიკა ჩიტაძე | Francis Fukuyama "State-Building". 2004. |
| 9 | ამერიკის მასმედია და პოლიტიკა | **USFA508** | II | - | მოწვეული ლექტორი, დოქტორი ნუგზარ სიხარულიძე/ აფილირებული პროფ. დოქტ. თამარ შიოშვილი | Janda, Berry, Goldman. "The Challenge of Democracy". Boston, New York, 2000.<br><br>Stan Le Roy Wilson. "Mass Media, Mass Culture". Third Edition. Copyright 1995. |
| 10 | ახალი მედია და ამერიკული საზოგადოება | **USFA517** | II | | მოწვეული პროფ. მარინე ვეკუა | 1. Mass Communication Concepts & Processes - NRAI School of ... www.nraismc.com › wp-content › uploads › 2017/03 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 2. McQuail's Mass Communication Theory (6-th edition)<br>books.google.ge<br>3. Influence of McLuhan's Theoretical Approaches and ...<br>www.revistarazonypalabra.org › ryp ›<br>4. “Understanding Media” and Social Commerce. - Roland ...<br>medium.com › |
| 11 | უსაფრთხოების საკითხები ამერიკაში | **USFA507** | III | - | მოწვეული ლექტორი დოქტ. კარლ აუგუსტსონი | International Security, problems and solutions. By Patrick M. Morgan. University of California, Irvine. |
| 12 | საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები | **USFA515** | III | - | მოწვეული ლექტორი დოქტ. დავით აფციაური | International Economics. Third Edition. James Gerber. 2005 |
| 13 | ამერიკის გეოგრაფია და რეგინალური დახასიათება | **USFA513** | III | - | მოწვეული ლექტორი, დოქტორი ნუგზარ სიხარულიძე/აფილ. პროფ. დოქტ. თამარ შიოშვილი | Outline of American Geography, Region and Landscapes of the United States, by Stephen S. Birdsall, John Florin, 1992 |
| 14 | ქართულ-ამერიკული ურთიერთობები | **USFA509** | III | - | მოწვეული ლექტორი, დოქტორი თეა ჭუმბურიძე | Zbigniew Brzeziski. The Grand Chessboard: American Primacy and Its Geostrategic Imperatives, New York: Basic Books (October 1997), ISBN 0-465-02726-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | Zbigniew Brzeziski. The Choice: Global Domination or Global Leadership, Basic Books (March 2004), ISBN 0-465-00800-3<br><br>Nika Chitadze. NATO`s Role in South Caucasus Regional Security. Tbilisi, 2006 |
| **15** | კვლევის მეთოდები | **USFA510** | III | – | აფილ. პროფ. დოქტ. ირინა ბახტაძე | Dibaldi, Joseph. (1999). MLA Handbook for Writers of Research Reports. The Modern Language Association of America. New York, 5th ed.<br><br>Lecturer course notes |
| **16** | სამაგისტრო ნაშრომი | **AMS512** | IV | | ფაკულტეტის ყველა ასოცირებული და სრული პროფესორი | |